

# რატომ იაფდება ბინები თბილისში და არ იაფდება ნავთობი და ოქრო?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 13-19 ოქტომბერი, № 41, 2008

რა შედეგებს მოიტანს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და საქართველოს მთავრობის წევრების შეხვედრა? რაში უნდა დაიხსარჯოს მიღებული კრედიტები და დახმარებები? რატომ არ დაესწრო „დიდი შვიდიანის“ წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრას რუსეთის ფინანსთა მინისტრი? რატომ ეცემა რუსული და უკრაინული წარმოშობის ქართული ბანკების აქციების ფასები? დასჭირდება თუ არა ქართულ ბანკებს დახმარება? მართლაც გაიზარდა თუ არა ნოღაიდელის პრემიერობისას მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, სამუშაო ადგილები დაა ჩამოყალიბდა თუ არა საქართველოში კარგი საინვესტიციო გარემო? რატომ იაფდება ბინები თბილისში და არ იაფდება ნავთობი და ოქრო? ამ კითხვებზე „ქრონიკის“ კითხვებს ეკონომიკური ექსპერტი, ლადო პაპაშვილი პასუხისმგებელი მიმღები მართვის მინისტრი გვიანდება.

– ბატონო ლადო, პარასკევს საქართველოს პრემიერი და ფინანსთა მინისტრი გაემგზავრნენ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან შესახვედრად. ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკმა უკვე გამოგვიყო 80 მილიონიანი, მრავალიანი კრედიტი კარგი პირობებით და მიმდინარეობს მოლაპარაკება დამატებითი კრედიტების გამოყოფაზე. თქვენი შეფასება?

– მსოფლიო ბანკის კრედიტები, როგორც წესი მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის სექტორალური განვითარებისათვის. ვინაიდან ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანას სჭირდება რეაბილიტაცია, ეს მხოლოდ დადებითად შეიძლება სეფასდეს. მსოფლიო ბანკიდან მოსალოდნელიც იყო და მისასასალმებელიცაა, რომ საქართველოსთან აგრძელებენ აქტიურ თანამშრომლობას დახმარების კითხუთ.

– თუ კრედიტს არ მოვიხმართ მიზნობრივად, ეს იქნება წყალში გადაყრილი ფული. ჩვენი ხელისუფლების პირობებში და დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, რამდენად შესაძლებელია, რომ მიღებული

**კრედიტი მიზნობრივად დაიხარჯება და რამდენად წაადგება ის ქართულ ეკონომიკას?**

– როგორც წესი, მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი კრედიტების მიზნობრიობაზე მონიტორინგს ახორციელებს თავად მსოფლიო ბანკი. ასე, რომ ამ კრედიტების მიზნობრიობაზე და გამოყენების ეფექტიანობაზე პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობასთან ერთად თავადაცაა. თუ კი პქონია მსოფლიო ბანკს გადაცდომები, ამაზე თავად გაუკეთებია რეაგირება და არაერთი, საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირი დაუსჯია. ანუ, ვიმედოვნებ, რომ მსოფლიო ბანკი გამოყოფილ კრედიტებზე თავის მონიტორინგს განახორციელებს და ამ თანხების გამოყენება ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. მთავარია საქართველოს მთავრობა და მსოფლიო ბანკი კონკრეტულად რაზე შეთანხმდებიან და ეს ვალი რა მიმართულებებით და რა სექტორებში იქნება გამოყენებული.

**– თქვენი აზრით რა არის პრიორიტეტები. ანუ რაში უნდა დაიხარჯოს მიღებული თანხა?**

– დღეს ამაზე საუბარი გამიჭირდება, რადგანაც საჭიროა ეს კონკლექსში იქნას განხილული. ანუ, არა მხოლოდ მსოფლიო ბანკიდან მისაღები ფული, არამედ ის დახმარებები, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროკავშირიდან მიიღებს ჩვენი ქვეყანა. უნდა მოხდეს ამ ფულის გამოყენების ერთიან გეგმაში მოქცევა, რათა არ მოხდეს სხვადასხვა სექტორების გადაფარვა და რომელიმე სექტორი დარჩეს დაუფინანსებელი. გარკვეული თანხები საჭიროა დანგრეული სოფლების და ქალაქების აღსაღენად, გარკვეული თანხები ინფრასტრუქტურის აღსაღენად და გარკვეული ნაწილი ქვეყანაში მეტნაკლებად სტაბილური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ საქართველოს საბანკო სექტორი მიიღებს 1 მილიარდ ლოდარამდე დახმარებას.

– მე ნამდვილად არ ვფლობ ამ ინფორმაციას. ბატონი დავითი უფრო ინფორმირებულია, რადგან უშუალოდაა პასუხისმგებელი საბანკო სექტორზე. ალბათ აქ საუბარია საერთასორისო სავალუტო ფონდიდან მისაღებ თანხაზე. შესაძლოა საუბარი იყოს იმ თანხებზე, რომელიც ჩვენმა ბანკებმა უნდა მიიღოს სხვადასხვა ფინანსური ჯგუფებიდან და საერთაშორისო ბანკებიდან.

თუ ამ ინფორმაციას ამაღლობელი ფლობს, ეს ძალიან კარგია და უკეთესი იქნება თუ გაიშიფრება ამ ერთი მილიარდის სტრუქტურა, ანუ რომელი ბანკებიდან და ფინანსური კორპორაციიდან რამდენს მივიღებთ. ასე უფრო ადვილი წარმოსადგენი იქნება შედეგებიც. ზოგადად, თუ ამ დახმარებას მივიღებთ, საქართველოს საბანკო სექტორი გადარჩება.

- გავრცელებული ინფორმაციით საომარი მოქმედებების შემდეგ უკრაინული „ტაოპრივატბანკის“ აქციების ფასი 31 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო რუსული „ვითიბი“ ბანკის აქციები 23,3 მილიონი ლარით შემცირდა. ეს არის ომის შედეგი თუ საერთო ეკონომიკური კრიზისის გამო ხდება?
- ამაზე ზეგავლენა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისაც აქვს, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება თავად რუსეთის ეკონომიკაც და უკრაინისაც. რუსეთის ეკონომიკის კრიზისის გამომწვევი მიზეზებია რუსეთის ეკონომიკის პუტინიზაცია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ზედმეტი მონოპოლიზაცია, საზელმწიფი ჩარევა და კონტროლი, რომელსაც დაემატა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაც, რამაც გამოიწვია რუსეთისადმი ნდობის შემცირება. რაც შეეხება უკრაინის ეკონომიკურ კრიზისს, ეს განპირობებულია იმით, რომ უკრაინაში დიდია პოლიტიკური დუღილი. გაუთავებელი საპარლამენტო არჩევნები, გაუთავებელი რყევა, ის დაპირისპირება, რომელიც არსებობს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის და ბუნებრივია ასეთ პირობებში უკრაინის ეკონომიკა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნების ბანკების შვილობილი ბანკებსაც ექმნებათ პრობლემები. ყველა ბანკს ერთ ქვებში ვერ ჩავყრით, მაგრამ ყველას თავისი პრობლემა აქვს. უკეთეს მდგომარეობაშია „ეიჩ-ეს-ბი-სი“, ბანკი „რესპუბლიკა“, „პროკრედიტ ბანკი“... ყაზახურ და აზერბაიჯანულ ბანკებსაც თავისი ნიშა უჭირავთ. ანუ, ყველა ბანკი იმ ქვეყნის ეკონომიკის მისიას ემსახურება, რომლის სათაო ოფისებიც შესაბამის ქვეყნებშია.
- გასულ კვირას შეიკრიბა „დიდი რვიანის“ ქვეყნების ფინანსთა მინისტრები და ბანკირები, რომელთაც შეიმუშავეს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ხუთაუნქტიანი გეგმა. ამ შეხვედრას არ ესწრებოდა რუსეთის ფინანთა მინისტრი და ის მხოლოდ სადილზე იქნა მიპატიურებული.

**როგორ ახსმნით ამ მოვლენას და საერთოდ, შეძლებს თუ არა „დიდი რვიანის“ ქვეყნები კრიზისის დაძლევას?**

– როცა ითქვა, რომ „დიდი რვიანი“ არ იქნება და იქნება „დიდი შვიდიანი“ ამის რეაქციის გამოხატულებაა ის, რომ რუსეთი ოფიციალურ შეხვედრაზე არ იქნე მიწვეული. ყოველ შემთხვევაში ესეც სიმპტომატური გადაწყვეტილებაა, ანუ არის უარყოფითი სიგნალი იმ პოტენციური ინგესტორებისათვის, რომლებიც რუსეთის ბაზრით უნდა იყვნენ დაინტერესებული. მათვის ეს ნიშნავს, რომ რუსეთში შესაძლოა კიდევ მეტი პრობლემები შეექმნათ. რაც შეეხება ასეთ შეხვედრებს, ეს აუცილებელია, რადგან სწორედ ასეთ შეხვედრებზე მიიღება ის პრინციპული გადაწყვეტილებები, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე ქვეყნის პრობლემა და კრიზისი, არამედ ესაა კომპლექსური ემუქრება მთელს მსოფლიოს.

– გამოქვეყნდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიძეების კიდევ ერთი ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ მისი პრემიერობისას საქართველოში ძალიან მოკლე ხანში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი საუკეთესო საინვესტიციო გარემო, მთლიანი შიდა პროდუქტები 10%-ით გაიზარდა და შეიქმნა 170 ათასი სამუშაო ადგილი...

– კარგია, ამის თავად მას თუ სჯერა და სჯეროდეს თუ უნდა... რეალურად ამ მთავრობას სტატისტიკის დეპარტამენტი იდლიაში ჰქონდათ ამოდებული და როგორიც უნდოდა ისეთ ციფრებს აქვეყნებინებდა. თუ ეს ასე გაგრძელდა, ყოველთვის წარმატებული იქნება ყველაფერი. რეალურად არც საინვესტიციო გარემო გვქონდა შესაბამისი და არც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არ იყო ისეთი, როგორსაც აჩვენებდნენ, ეს ყველამ კარგად იცის. ეს გარკვეულწილად იყო დასავლეთის რევერანსი, რომელიც ვარდების რევოლუციის მიმართ იქნა გაღებული და არა იმიტომ, რომ საქართველოში მართლაც იყო ასეთი აღმავლობა. აღმავლობა რა თქმა უნდა იყო, მაგრამ ციფრები ყოველთვის იყო გაბერილი. როცა რეალური ზრდა იყო 5-6%, აქვეყნებდნენ 10-12%-ს. რადგან ბატონი ზურაბი პოლიტიკაში ბრუნდება იმიტომაც აკეთებს ასეთ განცხადებებს, მაგრამ ამომრჩეველი არც ისე სულელია, ვერ მიხვდეს თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

– ბატონო ლადო, მსოფლიო ბაზარზე შემცირდა ნავთობისა და ოქროს ფასები, საქართველოში კი იგივე რჩება. რითი აიხსნება ეს მოვლენა?

– საქართველო არ არის მსოფლიო ბაზრებში ინტეგრირებული. აქედან გამომდინარე, რაც მსოფლიო ბაზრებზე ხდება, ოქროს ფასთებთან დაკავშირებით, ეს საქართველოზე პირდაპირ არ აისახება. რაც შეეხება ნავთობს, ჩვენთან იგი იმპორტიორებისთვის იაფდება და არა მოსახლეობისათვის. ბაზარზე უკვე ჩამოყალიბდა რაღაც ფასი, ყოველდღიურად მაინც იყიდება საწვავი და რატო შეამცირებს იმპორტიორი ფასს? ანტიმონპოლიური სამსახური არ არსებობს და მას ამით რჩება უფრო მეტი მოგება. მისი ინტერესი, შეამციროს ფასი, იმ შემთხვევაში იქნება, თუ ბაზარი იქნება კონკურენტული. ჩვენთან კი ბაზარი მონოპოლიზებულია და ასეთ პირობებში არავის არა აქვს იმის სტიმული, რომ ფასები შეამციროს.

– არც ოქროს ფასის შემცირება არ აისახება ნელ-ნელა საქართველოს ბაზარზე?

– საერთოდ, როცა არის ეკონომიკური კრიზისი, ყველა ცდილობს უძრავ ქონებაში და ოქროში განათავსოს თავიანთი დანაზოგები. ასევე, რომ ისინი ნაკლებად ექვემდებარებიან გაუფასურებას. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენთან ოქრო ნაკლებად ექვემდებარება გაუფაურებას, რადგან მასზე მოთხოვნა გაიზარდა.

– თუმცა, რმის შემდეგ უძრავ ქონებაზე ფასები შემცირდა. უკვე საუბრობენ იმაზეც, რომ ამის მიუხედავად უძრავი ქონება ძალიან ძვირად იყიდება. რა არის ამის მიზეზი და რატომ ყიდის ხალხი ბინებს?

– იმიტომ რომ უჭირთ. ზოგს თავის ბიზნესში გაუჭირდა და იქ სჭირდება ეს რესურსი და ზოგს უბრალოდ ცხოვრება გაუჭირდა და იმიტომ ყიდის.

– თქვენი აზრით ეს ტენდენცია გაგრძელდება, თუ ეს არის დროებითი მოვლენა?

– ეს ნამდვილად არ არის დროებითი, რადგანაც ეს არის დამახასიათებელი იმისა, თუ როგორი მდგომარეობა არის ქვეყანაში. ასე, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მაგრამ მუდმივი არც არაფერი არ არის. ამ ტენდენციასაც თავისი შემობრუნება ექნება მას შემდეგ, რაც ქვეყანაში სიტუაცია გაუმჯობესდება.

## დიმიტრი ტიკარაძე